

გილაგა კრემლში


5 იანვარს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლორენცო მაილი კილანი, რომელიც მოსკოვში იმყოფება „ოლიმპიად-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის მოწვევით.

პროლეტარულ მშენებელს, შვირთღმირ!



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 5
(6070)



გაზეთი გამოდის 1984 წლის 18 აპრილიდან

კილანი მოსკოვის სტუმარი

„ოლიმპიად-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის მოწვევით 4 იანვარს მოსკოვში ჩამოვიდა სოკის პრეზიდენტი, ლორენცო მაილი კილანი. მას შეხვდნენ „ოლიმპიად-80“-ის

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ნოვიკოვი, სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ს. პავლოვი და „ოლიმპიად-

80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. სმირნოვი.
(საქდესი).

ციგურკაცი

რეკონსტრუქციის ნიშია „ბიულავა“

დამთავრდა მოციგურავეთა საერთაშორისო შეჯიბრება „სახალწლო სტარტები“, რომელიც ნამდვილი რეკორდების წიგნით აღინიშნა. შეჯიბრების მონაწილეებმა ოსლოში, „ბიულავის“ სტადიონზე სეზონის დასაწყისისთვის საკმაოდ მაღალი შედეგები მიაღწიეს — დაბლობის საციგურაოსთვის არაერთი ეროვნული და სამი მსოფლიო მიღწევა გაუჭოლეს.

1500 მეტრზე რბოლაში ვ. ლობანოვმა საბჭოთა კავშირის რეკორდი დაამყარა (2:00,23), ხოლო III ადგილზე გასულმა ვ. ზაზერსკიმ ჩვენი ქვეყნის იუნიორთა მიღწევა — 2:01,43.

10000 მეტრზე ს. სტენსენმა (ნორვეგია) იმარჯვა — 14:51,40. მას 2,53 წამით ჩამორჩა ს. მარჩუი, რომელიც ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენი გახდა, ხოლო ზაზერსკიმ, რომელიც აქაც III ადგილზე გავიდა, ასპარეზობა კვლავ იუნიორთა საკავშირო რეკორდით დამთავრა — 15:06,2.

ზაზერსკიმ კიდევ ერთი რეკორდი გაუჭოლეს, ამჯერად დიდი მრავალჭიდიის ჯამში (169,664) მე-სამე იყო.

გამარჯვება მოიპოვა მარჩუმა (167,696). ეს შედეგი საბჭოთა კავშირის რეკორდიც დასწრებდა. მისი მიღწევაა ნორვეგიის რეკორდით II ადგილი ერგო სტენსენს — 167,885.

სპრინტერთა შეჯიბრებისას ნორვეგიის რეკორდითა და მსოფლიოს მიღწევით 1000 მეტრზე რბოლა მოიგო ე. სტრუშოლტმა — 1:16,77. მანვე სპრინტულ მრავალჭიდი ანთივე წარმატებას მიაღწია — ორი რეკორდის ავტორი გახდა.

შეჯიბრებაში, რომელშიც საბჭოთა კავშირის, ნორვეგიის, შვედეთისა და გერმანიის მოციგურავეები მონაწილეობდნენ, საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობა აშკარა იყო. ადგილობრივი პრესა მაღალ შეფასებას აძლევს მარჩუის, ზაზერსკის, ლობანოვის, ბელოვისა და სხვათა გამოსვლას და დასძენს, რომ მათ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში ასევე დიდი წარმატების იმედი უნდა ჰქონდეთ.

ხეაჯუკოტი

გამართა ხელბურთულ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის II ტურის შეხვედრები. ვილნიუსის ჭაფუჭში სოფლის სპორტული საზოგადოებების „ველესა“ (ვილნიუსი) და „კოლოსის“ (ბერეგოვო) მატჩი მასპინძლებმა მოიგეს — 14:10. აქვე კიევის „სპარტაკმა“ კვლავ დიდი ანგარიშით იმარჯვა, ამჯერად დონის ორსტოვის „როსტელმაში“ დაამარცხა — 29:11. მოსკოვის „ლუჩმა“ მოუგო კიშინიოვის „დინამოს“ — 22:18.

პროლეტარულ განვითარებაში მომავალი თაობისთვის

მეხად მნიშვნელოვანი სასიკეთო მოვლენების დღეები დაუდგა საბჭოთა სკოლას: სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დოკუმენტი, რომელიც სახალხო განათლების განვითარებისთვის საერთაშორისო მნიშვნელობისაა. ეს არის დადგენილება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლების, აღზრდისა და მათი შრომისთვის მომზადების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

სწავლების თაობის აღზრდისადმი განათლებისა და სწავლების მთელი სისტემისადმი პარტიისა და მთავრობის დიდი ზრუნვის გამოხატულებაა, აგრეთვე, მეორე დადგენილება — „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მიერ სახელმძღვანელოების უფასო სარგებლობაზე გადასვლის შესახებ“, და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „სსრ კავშირის სახალხო მასწავლებლის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ“.

ლონისძეობათა ეს მთელი კომპლექსი მთავარ მიზნად ისახავს განათლების სისტემის ისეთიანობის წარმართვას, რომელიც აუცილებლად განმარტობს ჩვენი მომავალი თაობის მიერ მეცნიერების საფუძვლების მტკიცე დაუფლებას, და ამავე დროს, მათ შესაფერისად მოამზადებს მომავალი შრომითი საქმიანობისთვის. ამ ეტაპზე შევეთრად მივლდეთ მათი როლი და მნიშვნელობა; ვინც სათავეში უნდა ჩაუდგას ამ დიდ და კეთილშობილურ საქმეს — ახალ უღერადობას იძენს, ახალ სიმაღლეზე აღის აღზრდელი-პედაგოგის, მასწავლებლის როლი.

სწორედ მან, აღზრდელმა-პედაგოგმა უნდა წარმართოს საქმე ისე, რომ აღსაზრდელს გამოუმუშავოს უმთავრესი და უძვირფასესი თვისება — გარჯიანობა შეგნებულ სიყვარული, შრომის უადრის გრძნობა.

ცხოვრების დიდ ასპარეზზე ჩვენი მომავალი თაობა, რასაკვირველია, ვერ შემოგვს მალაუნაყოფიერ შრომას, თუ მას არ ექნა შესაბამისი ფიზიკური წიკობა. ძნელია წარმოვიდგინოთ მაღალინტელექტუალური, ყოველმხრივ პარმონიულად განვითარებული პიროვნება, თუ მას ასევე არ გააჩნია მაღალი ფიზიკური კულტურა.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელმაც დიდი ადგილი დაუთმო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბავშვთა ფიზიკური აღზრდის პრობლემებს, კერძოდ ითქვა, რომ „ჩვენი მომავალი თაობის ფიზიკური აღზრდის ბევრი ნაკლი სწორედ სკოლებში მოდის... მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის საფუძველი უნდა იყოს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური სკოლები“.

ჩვენს სკოლებში ამ მიმართებით ბევრი სასიკეთო ცვლილება მოხდა ბოლო დროს. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ ბავშვთა ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესებისთვის მრავალი ღონისძიება განხორციელა, რაც კარგად წარმოაჩინა საქართველოს სპორტკომიტეტისა და ჩვენი გაზრდილი შესაბამისი განყოფილებების მიერ ამასწინათ ჩატარებულმა შემოწმება-რეიდმა.

მაგრამ, ამავე დროს, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ შემოწმებით გამოვლენილ ჯერ კიდევ არსებულ ნაკლებობებსაც. ერთ-ერთი მხიშველურად, ჩვენის აზრით, არის ის, რომ ბევრ სკოლაში სათანადოდ არ

ზრუნავენ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის როლის ამაღლებაზე, და კიდევ: ამ დარგის პედაგოგთა საშუალო ასაკი, მაგალითად, თბილისში 45 წელია. მათ სპეციალური უმღელესი განათლება 20-25 წლის წინათ მიიღეს. ბუნებრივია, რომ ამ წნის მანძილზე ფიზკულტურისა და სპორტის თეორია, სწავლების მეთოდოლოგია საგრძობლად წინ წავიდა. აბრიგად, პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი სკოლების დირექციების უურაღლები ცენტრში უნდა მოექცეს.

სკოლების ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს უდიდესი შესაძლებლობა აქვთ იმისა, რომ მოსწავლეები აღზარდონ არა მარტო ფიზიკურად ძლიერი, არამედ მათ შთაუნერგონ ვაჟაყვისა და მამაცობის სულიკვეთება, საბჭოთა სამშობლოს მომავალი დამცველისათვის საჭირო სხვა თვისებებიც.

ამ უარესად მნიშვნელოვანი მიზნის მისაღწევად მათ უნდა მიმართონ ჩვენი სამამულო სპორტის ისტორიის, კონკრეტულ მაგალითებს დიდი სამამულო ომის მატინდან, სადაც მრავლად მოგვემოგვება სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩვენი სახელოვანი სპორტსმენების გვირობის, მათი მიხედვითობისა და სიჩაუქის მაგალითები.

მოსწავლეთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდისთვის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებმა უფრო ფართოდ უნდა გამოიყენონ ჩვენს სპორტულ დარბაზებსა და სტადიონებზე მათი თაოსნობით მოსწავლეთა კოლექტიური დასწრება. არც თუ იშვიათად ხდება ნოღმე, რომ საინტერესო და საპასუხისმგებლო სპორტული ასპარეზობანი ზოგიერთ ჩვენს ბავშვს, მაგალითად სპორტის სასახლეში, მაყურებლებით სანახევროდ შევსებული ტრიბუნების წინ ტარდება. ბევრი მომე სოციალისტური ქვეყნის მაგალითისამებრ, რატომ არ უნდა მოვიყენოთ აქ მოსწავლე ახალგაზრდობა?


სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებულ სპორტულ ბაზებს სხვა მიზნითაც ვერ ვიყენებთ შეძლებისდაგვარად. ჯერ კიდევ კარგად ვერ ვახორციელებთ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მოწოდებას: „ყველაფერი ბავშვებს, ყველაფერი ბავშვებისთვის! ამ მოწოდებას პრაქტიკულად უნდა შევასხათ სოციალისტური, რომ ბავშვებს მიეცეთ ყველაზე ფართო შესაძლებლობა მათთვის მოსახერხებელ დროს და სრულად უფასოდ ისარგებლონ ქალაქისა თუ სოფლის სპორტული ბაზებით, ყველა სპორტული ნაგებობით“ — ითქვა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე.

და ეს მაშინ, როცა რესპუბლიკის სკოლების ერთი ნაწილი მოკლებულია საკუთარ ბაზებს, ხოლო როგორც გვიჩვენა შემოწმება-რეიდმა, თბილისის სკოლების უმრავლესობას ჯერ კიდევ არ გააჩნია საჭირო სპორტული ინვენტარი.

მოზარდი თაობისთვის განმრთელობისა და ფიზიკური წიკობის მკვიდრი საპირველის შექმნას დიდი შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება დღეს, განვითარებული სოციალისტური პირობებში, რამაც სათანადო ადგილი დაიკავა ჩვენი ქვეყნის ახალ კონსტიტუციაში.


დიდი დასვენება — მოსწავლეთა სიმხნევის წყარო

უბდილის მეორე საშუალო სკოლა მთელს რაიონში ცნობილი თავისი სპორტული ტრადიციებით, სწორედ აქ სწავლობდა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ქაღრაში ნონა ვაფინდაშვილი. სკოლაში დღესაც დიდი ენთუზიაზმით ეკიდებიან ფიზკულტურისა და სპორტის სწავლებას.



სურათზე: დიდი დასვენებაზე გამაზნევებელ ვარჯიშს ატარებს ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი ვახტანგ ჯორჯია.

მ. ზარგარიანის ფოტო.



კასპის ცემენტის ქარხანაში მუშაობდა ფიზკულტურის მეთოდისტად. საკავშირო პირველობა კარზე იყო მომდგარი, მაგრამ ქარხნის მამინდელმა დირექციამ შეკრებაზე წასვლის უფლება არ მისცა და მოსკოვში გამგზავრება ვარჯიშის ვარჯიშე მოუხდა.

სამი დღის განმავლობაში, სანამ მატარებელი თბილისიდან მოსკოვს ჩავიდა, ვაგონში ვვარჯიშობდი. თუკი რომელიმე სადგურზე დიდხანს მოგვიწევდა გაჩერება, ვარჯიშე, ბაქანზე დაკუნძულები და წონაშიც საკმაოდ დავიკედი...

საქ იყო თუ ისე, იმ წელიწადსაც ჩემბიონის ოქროს მედალს დაესაკუთრა.

დიდი ხანია სპორტი ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა და შეიძლება ითქვას — იგი თვითონვეა მწვერულებითა და სისხარულით, სასოწარკვეთილებითა და უკეთესი მომავლის იმედით, ნაღვლიანი და სასიამოვნო ნოვონებებით სავსე ცხოვრება. სწორად ნიჭიერი ადამიანი ამ თუ იმ მიწეზეა გამოცხადებული, ვერ აღწევს შესაფერის წარმატებას. ასევეა სპორტშიც. ლაგერენტი კაციაშვილს მსოფლიოსა და ევროპის არც ერთ პირველობაში არ მიუღია მონაწილეობა, მაგრამ, სამაგიეროდ მისმა აღზრდილებმა ისახელეს თავი. მოწაფის წარმატება ხომ მასწავლებლის გამარჯვებაა და სწორედ ამიტომ, როცა იოსებ მალალაშვილმა მსოფლიოს ჩემპიონის საპატიო ტიტული მოიპოვა, კასპელებმა პირველად მას მიულოცეს ეს სასიხარულო ამბავი.

ლაგერენტი კაციაშვილი ოცდაათი წელია რაც მწვრთნელად მუშაობს და ამ ხნის მანძილზე მსოფლიოს, ევროპის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს მრავალი ჩემპიონი გამოსარდა. დიდი სპორტის გზაზე პირველად სწორედ მან დააყენა ი. მალალაშვილი, ა. თბგაძე, ტ. ცინცაძე, ჯ. გუთიაშვილი, გ. ბენიშვილი, რ. მაღლაფერიძე, ს. პატენკო, თ. ყურაშვილი, დ. კოდანოვი, ნ. ნუგაზარიძე და სხვა მრავალი...

1975-76 წლებში ლ. კაციაშვილი შეიყვანეს სსრ კავშირის ათი საუკეთესო მწვრთნელის საიში (ჭიდაობა-სამბო). შარშან კი იგი საქართველოს საუკეთესო მწვრთნელთა ათეულშიც მოხდა.

ყველა მწვრთნელს წარმატების საკუთარი „საიდუმლოება“ გააჩნია. — მითხრა „კომუნისტურმა“ კასპის რაიონის სპორტმეთოდისტი გიორგი თთარაშვილმა, — ლაგერენტი ერთი შეხვედრით თავისებურად აქვს — თუნდაც ერთხელ ნახის მოტივად, ვინც არ უნდა იყოს იგი, არასოდეს ავიწყდება. მუდამ ასხვავს მისი ჭიდაობის მანერა, ძლიერი და სუსტი მხარეები და მასთან შესაბამისად თავის მოწაფეს ამის მიხედვით ამზადებს... ამჟამად ლაგერენტი კაციაშვილი კასპის ჭიდაობის სპეციალისტულ სკოლას თავაყობს.

საჭიდაო დარბაზი დაგვივლიდა, — შემოვიღო მან, — სახურავში წვიმა ჩამოდის, ამასწინათ ცენტრალური გათბობა მოთმალა და კარგა ხანს ვიდევო, სანამ შეგვიკეთებდნენ. თუმცა ჩვენდა სასიხარულოდ დასრულდა 44 ათასი მანეთი გამოვიყვანე ახალი დარბაზის ასაშენებლად, რაც სწორედ რომ დროულად გადაწყვეტილებაა, რადგან რაიონში ძალზე მოუპოვარული გახდა ჭიდაობა, ყოველდღიურად ვარჯიშის უამრავი მსურველი მოდის ჩვენს სპორტ-საბჭოში. დიდი იმედი მაქვს 1986-67 წლებში დაბადებული ბიჭებისა. მართლაც რომ კარგი, იმედინი თაობა გვეწარმოება.

შარშან ლაგერენტი კაციაშვილის შვიდი აღზრდილი გახდა საქართველოს ნაკრების წევრი და მათგან ორი, შოთა და ვია მისი ვაჭიშვილები არიან.

ამას წინათ, უმცროსმა, ვიამ ზელი მოიტეხა, — მუშუბნება ლაგერენტი. — თაბაშირში ჩაუსვს, მაგრამ არ მოისვენა, ჩუმრუხად ვარჯიშობდა თურმე და ჩვეული ფორმა მაინც შეინარჩუნა.

ქართული ანდაზა — გვიცი გვარზე ხტისო.

ნ. შატაძე.
ს უ რ ა თ ე ბ ე წ ი: ლ. კაციაშვილი და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ი. მალალაშვილი; „კომუნისტურმა“ ნაკრები, მარჯვნიდან მეორე ლ. კაციაშვილი.

უპირებელი



ამ გიშტ დროს ხშირად გვეხმის — ესა თუ ის სპორტსმენი გადატვირთული სეზონის გამო დადღლილია და შეჯობრებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ამ მიზეზით უზოგერთი საქვეყნოდ აღიარებული ფალაგანი საკმაოდ მნიშვნელოვან შეჯობრებებსაც კი არ იღებს თავს და მასურების როლით კმაყოფილდება.

წინააღმინ დაგვიგამოი გამოსვლები, უფორული შეჯობრებები, იმედგაცრუებული მასურებელი...

ერთსეულ ლენინგრადიდან ვბრუნდებოდი, — მიამბობს ლაგერენტი კაციაშვილი, — სადაც საბჭოთა კავშირის პირველობაზე 11 საპირისპი ადგილი დავიკავე ჭიდაობა სამბოში. საკმაოდ მძელი ტურნირი გამოდგა, ვერცხლის მედალი იოლი ბრძოლით როდი მომიპოვებია. თბილისში ჩამოვედი თუ არა, მასწინვე მშობლიურ სოფელს მივაშურე. კვირა დღე იყო. სოფლის რომ მივატახე, დროსი ბაგა-ბუგი და ზურნის ჭიჭყინი შემომეხმა. გულმა იმით გამიწვია. უამრავი ხალხი შეყრილიყო საჭიდაოზე. ნაცნობ-მეგობრებსა და მეზობლებს გასუთებიდან შეეტყუთ ჩემი წარმატების ამბავი, გარშემო შემომხვივნენ, მომილოცეს, მსალა მავადსთან მიმიწვიეს... მაგრამ არ ვიცი რისი ბრალი იყო — იმ ომხინში „საჭიდაობის“ თუ მშობლიურ სოფელში დაბრუნებით გამოწვეული სისხარულისა, ავიხირო — გინდა თუ არა, მჭიდვედ მივქე. რაღას იზამდნენ, მომიტანეს საჭიდაო ჩოხა და იმ საღამოს ჭიდაობით ვვარაიანად ვიჭერე გული.

ჭიდაობის ტრფიალი — ეს სიტყვები სწორედ რომ შედგამოჭრილია ლაგერენტი კაციაშვილზე, ომისმემდგომი პერიოდის ფალაგანთა იმ დიდებული პლეადის წარმომადგენელზე, არაერთხელ რომ უსახელებია თავი რუსებულკურ და საკავშირო შეჯობრებებში.

მამარეში მწყემსი იყო და ერთ წელიწადს მეც გამიყლია მთაში. — მიამბობს ლაგერენტი, — ჯერ ცხრაშეტისაც არ ვიყავი, მაგრამ სოფელში უკვე კარგი მოჭიდავის სახელი მქონდა დადგებული. კასპის რაიონი ხომ იმთავითვე ქართული ჭიდაობის სამშობლოდ ითვლებოდა და, როგორც ყველგან, ჩვენს სოფელშიც ყოველ კვირა, უქმედღეს იმართებდა შეჯობრებები. ამა-

საც რომ თავი დავანებოთ, დღე ისე არ გავიდა, სოფლის ბიჭები ერთმანეთს არ დავტყდებოდით. სამწყემსურშიც ხშირად გვლბაქუნობდით, მაგრამ დიდ ასპარეზობაზე ვერავ არსად გამოუსულიყავი, გულით კი მეწადა... ერთ დღე ნიკოლოზ ხმალაძე გვეტყუმა მთაში, მამარეშ კარგახანს ეტუტუნა, მერე მე დამიძახა და მითხრა — საგარეჯოში უნდა წავიყვანო ზონალურ პირველობაზე და რას იტყვი... რა უნდა მეთქვა, სისხარულით დავთანხმდი და იმავე დღეს წამოვედი მთიდან. საგარეჯოში ყველა შეხვედრა მოვიგე, პირველი ადგილი დავიკავე და სოფელში ფორთაშესმული დავბრუნდი, მაგრამ, მერე საქართველოს პირველობაზე გედმა მიმტყუნა... წარუმატებლობამ, ცოტა არ იყოს, გული ამიცრუა — ბაღლი ვიყავ და ამა რა ვიციოდი, რომ გამარჯვება და დამარცხება მუდამ გვერდივედ დგანან. ჭიდაობას კარგა ხნით დავანებე თავი, მაგრამ მერე, როცა ფიზკულტურის ტექნიკუმში განვაგრძე სწავლა, უკვე სერიოზულად მოგვიდე ვარჯიშის ხელი. ძირითადად თავისუფალ ჭიდაობაში (მწვრთნელი ლ. ზგონსაძე) და სამბოში (ქ. ნინიაშვილი) ვმუშაობდი. თავდაუსოვავა ვარჯიშმა მალე თავისი გაიტანა — 1950 წლის გორში გამართულ საქართველოს პირველობაზე ჩემპიონობა მოვიპოვე...

ლაგერენტი კაციაშვილის 41 წლის ასაკამდე არ გაუხდა საჭიდაო ჩოხა და ამ ხნის განმავლობაში მრავალ წარმატებას მიაღწია — ქართულ ჭიდაობაში 11-ჯერ, ხოლო სამბოში 13-ჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი. საკავშირო შეჯობრებებშიც არ დაკლებია გამარჯვებანი — 5-ჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, 5-ჯერ II ადგილის, ხოლო 4-ჯერ III ადგილის მფლობელი.

გული იმაზე მეთანადრება, რომ მსოფლიო მნიშვნელობის შეჯობრებებში ვერ მივიდე მონაწილეობა. იმ დროს ასე ხშირად როდი იმართებოდა საერთაშორისო შეხვედრები. ერთადერთხელ (მაშინ „ბურევესტნიკის“ საკავშირო ნაკრებში შევიდიოდი თ. ულერდაშვილისა და ზ. ჩიქვილაძესთან ერთად) შევხვედი უნგრულ ფალაგანს და ისიც რაღაც 17 წაში გაავაკარი ხალიჩას...

1959 წელს ლაგერენტი კაციაშვილი

განახლების გზაზე

ბასული წელი არ შეიძლება ჩათვალოს ბედნიერ სეზონად საბჭოთა კალათბურთისთვის. ჩვენი საუკეთესო კლუბები — ცსკა, „სპარტაკი“ და მოსკოვის „დინამო“ — დამარცხდნენ ევროპულ სათაო ტურნირებში, სადაც რეგულარულად გამოწავლილებოდნენ. იუგოსლავიის ნაკრები ზედიზედ მესამედ გახდა ევროპის ჩემპიონი, ჩვენი კი კვლავ მეორე ადგილით დავიკაოვილდა. მხოლოდ საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებაში შეინარჩუნა პირველი ადგილი საბჭოთა გუნდმა. 1977 წელს ჩვენი ქვეყნის ნაკრები ოცჯერ შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, კვლავინდებურად რჩებიან ჩვენს ყველაზე მთავარ ოპონენტებად ოლიმპიური „ოქროსთვის“ ბრძოლაში. ამ მატჩების საერთო ანგარიშია 11:9 ჩვენს სასარგებლოდ.

1977 წელს საბჭოთა ნაკრების რიგები გადახალისდა. მისმა მწვრთნელებმა „გამოსცადეს“ ორმოცზე მეტი ყველაზე უფრო ნიჭიერი ახალგაზრდა კალათბურთელი, რომელთაგან ზოგიერთები ოლიმპიური გუნდის კანდიდატები გახდნენ.

როგორ გამოიყურებოდნენ უმაღლესი ლიგის ჩვენი გუნდები, თუ მათ თამაშს გავანალიზებთ საერთაშორისო საკალათბურთო სტანდარტების მაღალი მოთხოვნების გათვალისწინებით?

ჯერ ჩვენს ნაკლოვანებებზე და პრობლემებზე. უმაღლესი ლიგის მოთამაშეთა უმრავლესობა ცუდადაა მომზადებული ათლეტურად. აქლიათ ძალა, მოქნილობა და შეუპოვრობა ფარქვეშ ბურთისთვის ბრძოლის დროს. ეს ეხება არა მარტო ჩვენს ახალგაზრდა გეგანტ-ცენტრებსა და განაპირა თავდასხმელებს — ქოვლიოს, ლობატოვს, დერიუგინს, მიშკინს, ტარაკანოვს, ბელოსტენის, ტაჩინკოს, არამედ „პატარა“ გამთამაშებლებსაც. როგორც ჩანს, კალათბურთელებისთვის აუცილებელ ამ თვისებების გამომუშავებას ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება. აქლიათ მთ გამოქვობაც, ხშირად შეიძინევა ტექნიკური უუნარობა პრესინგის დროს გადაადგილებისას. ამ საკმაოდ რთულ ვითარებაში ისინი ყოველთვის როდი ახერხებენ ნებისმიერ მომენტში შეჩერებას ან წინსვლას, შემოტრიალებას, ანდა წართვან ბურთი მოწინააღმდეგეს და კიდევ სხვა.

ჩვენი მოთამაშეები ჯერ კიდევ არ არიან მზად ასეთი ბრძოლის დროს ფსიქოლოგიისადაც. ისინი მეტწილად შეჩვივნენ დაცვაში „დასვენებას“, არ არიან გაწვრთნილი შემტევ მკაცრი დაცვისთვის, რომლითაც დღეს უნარიალად სარგებლობენ მსოფლიოს საუკეთესო გუნდები.

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის ყუენასში გამოართულ უკანასკნელ მატჩებში მხოლოდ ცსკა და ლენინგრადის „სპარტაკი“ ცდილობდა დაცვის აქტიური ფორმების გამოყენებას. ცსკა, მაგალითად, კაუნასის ტურნის ყველა შეხვედრაში მიმართდა დაცვის სტილს. „ქალაქისთაში“ მატჩამდე კარგად იცავდნენ თავს ლენინგრადელებიც.

საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატებიც კი სუსტად თამაშობენ დაცვაში.

ბენ დაცვაში. მხოლოდ ლენინგრადელი ა. ბელოვი, რომელიც ასწრებს არა მარტო თავისი მეურვის უფლებელოვას, არამედ ყოველთვის მზადაა დავებაროს თავისი თანაგუნდელებს, იმსახურებს ქებას.

მეტწილ გუნდების თავდასხმელოთა გაზრდილობა შედეგანობაა, მათმა ავტოსიულობამ უდავოდ დაამშვენეს კალათბურთი. შორი დისტანციიდან სროლების ხარისხი გაუმჯობესდა. ყველაზე შედეგინი კაუნასის ტურნის იყო ვიცილი, რომელმაც ექვს შეხვედრაში შეძლო 139 ქულის მორგება გდების ჩინებული პროტენციით — 58. ქვეყნის ნაკრების ახალ კანდიდატს ქუჩაიტის (ეკალგინისი) 134 ქუენა აქვს (56 პროცენტი). აღსანიშნავია, რომ იგი უმეტეს შემთხვევაში უტევს შორი და საშუალო დისტანციებიდან.

საუფლოიან შოის იწვევს კევის „სტრითელის“ თამაში. ამ გუნდში ორი წლის მანძილზე შეიცვალა ხუთი მწვრთნელი. ეს საკითხი არ არის მოგვარებული დღესაც. აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ „სტრითელში“ თამაშობენ სსრ კავშირის ნაკრების ისეთი ტანგალი კალათბურთელები, როგორცაა ტაჩინკო (220 სმ), და ბელოსტენი (214 სმ). ამ გუნდში სხვა ნიჭიერი სპორტსმენებიც არიან, მაგრამ მათთან არაერთი მუშაობა არ სწარმოებს. ამას კი შეიძლება არასასიამოვნო, მძიმე შედეგები მოჰყვეს არა მარტო თვით „სტრითელისთვის“, არამედ ქვეყნის ნაკრებისთვისაც...


სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველი ეტაპის შედეგების მიხედვით შედგა ქვეყნის ნაკრები. მის შემადგენლობაში შეყვანილი არიან — მცველები ზოკოვი, იოვანიშ, ლინკოვიჩუსი, ერიომინი, კაპუსტინი, გრედიძე, ყველა ესენი ახალი, ნიჭიერი სპორტსმენებია. არც ერთ მათგანს არ მიუღია მონაწილეობა მონრეალის ოლიმპიურ თამაშებში, და მხოლოდ ერთი — ერიომინი გამოდიოდა ევროპის ჩემპიონატში. ყველაზე დეფიციტური ჩვენს კალათბურთში დღესდღეობით გახლავთ მაგალი ტანის განაპირა თავდასხმელები. ეს როლი დავისრათ ლობატოვს, მიშკინს, ტარაკანოვსა და სალნიკოვს. ცენტრში კი ითამაშებენ ტაჩინკო, ეკალი, დერიუგინი და ბელოსტენი.

რაც შეეხება ჩვენს ეტერანებს ს. ბელოვს, ქორქიას, მილოსტეროვს — სამივე რჩება ნაკრების რიგებში. და თუ მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც ოქტომბერში გამოიართება, ისინი ახალგაზრდებზე ძლიერნი იქნებიან, სსრ კავშირის ნაკრების ოარსების დაცვის უფლებაც მათ მხარეზე იქნება. ამ მოთამაშეებს ჩვენ საკმაოდ კარგად ვიცნობთ, გვჭერა მათი.

ა. გომალსკი, სსრ კავშირის დამახარებელი მწვრთნელი, საჯდების სპორტული მიმომხილველი.

ს უ რ ა თ ე ბ ე წ ი: შეტევაზე თბილისელი დინამოელი გრძელიძე (მარცხნივ).

ა. საკოვის ფოტო.



ანი, რას ფარს „სოლენი“

დაპარტი. საბჭოთა კავშირი ყოველგვარ ზომებს მიმართავს 1980 წლის ოლიმპიური თამაშების წარმატებით ჩატარებისთვის, — აღნიშნავს სენეგალის გაზეთი „სოლენი“. ამ მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენის წარმატებით ჩატარებისთვის არსებული სპორტული ნაგებობების მოდერნიზებისთვის, ახალი ბანების სასტუმროებისა და გზების ასაშენებლად დიდ თანხებს წარჩავს სსრ კავშირის მთავრობა. წერილში განსაკუთრებით ბაზგა-

სმულია ის ფაქტი, რომ სპორტული ობიექტების დაგეგმვისა და აშენების დროს მხედველობაშია მიღებული მსოფლიო გამოცდილება, ეროვნული და რეგიონალური ორგანიზაციების სურვილები, რომელთაგან თლიმპიადის საბჭოთა საორგანიზაციო კომიტეტს რეგულარული კონტაქტი აქვს დამყარებული. მაგალითად, აფრიკის სპორტის უმაღლეს საბჭოსთან. მოსკოვში, — ნათქვამია წერილში, — ყურადღებას აქცევენ ისეთ

მნიშვნელოვან ფაქტორსაც, როგორცაა კლიმატური პირობების სხვაობა, რაც უმჯობესად იქონიებს გავლენას სპორტულ შედეგებზე. გაზეთი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ თამაშებისთვის მზადების მსვლელობაში არ დაფიქსირებულ მსოფლიოში აფრიკელი სპორტის მოყვარული: ბელარუსური თანამგზავრის საშუალებით ოლიმპიური შეჯობრებები რეტრანსლირებული იქნება კონტინენტზე. (საქმასი).

